

**დაგვიკავშირდით:**

“სამოქალაქო განვითარების  
სააგენტო“ (CiDA)

რუსთავის ოფისის მისამართი:  
რუსთავი, 3700,  
ფიროსმანის ქ. N 9/1

დმანისის ოფისის მისამართი:  
დმანისი, წმ. ნინოს ქ. N40

დმანისის ცხელი ხაზი:  
(+995 360) 22 16 85

რუსთავის ცხელი ხაზი:  
(+995 341) 25 88 22 Ext 13  
ელ ფოსტა: lawyer@cida.ge

**იურიდიული დახმარებისა  
და სტრატეგიული  
საპროექტო მართვის  
სერვისები  
კვანთ ქართლში**

**თქვით თუ არა, რომ თქვენს  
მიმართ სურსთადა  
ეისკრიბინათ**



**USAID**  
აშშ-ის საგარეო  
დახმარების  
აგენტო



**EAST-WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE**  
კორპორატიული მართვის  
ინსტიტუტი (PROMG)

პროექტი "იურიდიული დახმარებისა და სტრატეგიული სამართალწარმოების სერვისები ქვემო ქართლში" ხორციელდება სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა) მიერ საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის (სიფა) პარტნიორობით.

პროექტი ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI)-ის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში.

## რა არის დისკრიმინაცია?

დისკრიმინაცია გულისხმობს ისეთ მოპყრობას ან ისეთი პირობების შექმნას, როდესაც ადამიანი ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის ან სხვა ნიშნის გამო არახელსაყრელ და არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფება ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან.

## ვისი მხრიდან შეიძლება იყოს დისკრიმინაციის მსხვერპლი?

დისკრიმინაციის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი პირი, რომლის უფლებების განხორციელებაზეც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს საჯარო დაწესებულების, ორგანიზაციის, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებმა.

## რა ფუნდამენტური უფლებები ბაქვთ?

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილისა.

საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათ უფლება აქვთ იმოქმედონ ყოველგვარი ჩარევის და დისკრიმინაციის გარეშე.

## ვინ დაიცავს თქვენს უფლებებს?

დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. ამ მიზნით, სახალხო დამცველის აპარატი

შეისწავლის დისკრიმინაციის ფაქტებს, ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების, დისკრიმინაციის მსხვერპლთა უფლებების აღდგენის და დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკითხებზე.

ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით მის მიმართ განახორციელა დისკრიმინაცია და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

თქვენს უფლებებს, ასევე დაიცავენ ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები.

## რა დახმარების განევა შეუძლია "სიდა"-ს?

არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო განვითარების სააგენტო" (სიდა) ქვემო ქართლის რეგიონში უმცირესობათა ჯგუფებისათვის ახორციელებს დისკრიმინაციის აღმოფხვრის ან/და არათანაბარი მოპყრობით გამოწვეული უფლებების აღდგენის გზით მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პროექტს.

ჩვენი ორგანიზაციის იურისტები გაგიწევენ უფასო სამართლებრივ დახმარებას, რაც გულისხმობს თქვენი უფლებების დაცვას სასამართლოში, ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში.

დაგეხმარებიან თქვენთვის სასურველი მომსახურების მიღებაში, დარღვეული უფლების აღდგენისა და შემდგომი დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით.